განმარტებითი ბარათი

„საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამხედრო გრანტის შესახებ" ხელშეკრულების პროექტზე

აღნიშნული ხელშეკრულება შეეხება თურქეთის რესპუბლიკის მიერ საქართველოსათვის 1.510.500 (მილიონ ხუთასათი ათას ხუთასი) ახალი თურქული ლირის ოდენობის დახმარების გადაცემას გრანტის სახით, რომლის ათვისებაც დაიწყება 2008 წლიდან. აღნიშნული დახმარების გაწევა თურქეთის მხრიდან კიდევ ერთხელ ადასტურებს ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას.

გრანტის დახმარების ერთი ნაწილი, რომელიც შეადგენს 1.282.500 (მილიონ ორასოთხმოცდაორი ათას ხუთასი) ახალი თურქული ლირის ეკვივალენტს აშშ დოლარში, საქართველოს გადაეცემა მატერიალური დახმარებისა და მომსახურების სახით, ხოლო მეორე ნაწილი 228.000 (ორას ოცდარვა ათასი) ახალი თურქული ლირის ეკვივალენტი აშშ დოლარში - ნაღდი ფულის სახით.

ამდენად, ზემოაღნიშნული ოქმი ძალზედ მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოსათვის.